როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა იმ მინისტრთა თათბირი, რომელ ებიც სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი განათლების საკითხებს განიხილავენ. ამ თათბირის მონაწილეთა ჯგუფი მესამე დღეა იმყოფება საქართველოში. მათ შორის არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და სპეციალური განათლების სტატსმდივანი ოიანმან გისმანი,—სტატს-სამდივნოს მეცნიერი თანამშრომლები ინგბორგ ჰოფმანი და პაინც ვოთჰანნი, სტატს სამდივნოს სოციალისტური ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე, გერჰარდტ რანფტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი ედგარ რაინჰარდტი, ბულგარეთის სახალხო განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი იანკო იანევი, პოლონეთის ტექნიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანჯეი ბუტლერი.

სოციალისტური ქვეყნების განათლების მოღვაწენი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟლაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ცხოვრება, მისი მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ესაუბრა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საქართველოს მშრომელები სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ბ. ლაშქარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ი. ფორაქიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი ა. ბ. მედვედევი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები, რომლებიც უმაღლესი განათლების საკითხებს განაგებენ, ეწვევიან აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს. მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ მათ გააცნო, თუ როგორ დგას რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმე.

საზღვარგარეთელი ამხანაგები გაეცნენ უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობას, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს კახეთსა და მცხეთაში.

დღეს, 23 ივნისს, სტუმრები მოსკოვს მიემგზავრებიან.

ერთი მეურნეობის ადამიანები

პირდაპირ ზვრებში შევხვდით საჩხერის მეკვანახეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ადამიანებს. დილით ადრე უბნებსა და ბრიგადებში მუშაობა უკვე გაჩაღებული იყო.

— ოთხას ოცდათხუთმეტი ჰექტარი ვენახის მოვლა იოლი საქმე არ არის, გვიხსნის მეურნეობის დირექტორი აგრონომ-ეკონომისტი ამხ. შ. ჯიღლაძე. მაგრამ ახლა მართლა უუნარო უნდა იყო კაცი, რომ მეურნეობა ჩაბორბეს. უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიის მიერ დასახულმა ისტორიულმა ღონისძიებებმა ყველა პირობა შეგვიქმნა სოფლის მეურნეობის მუშაკებს იმისათვის, რომ მივიღოთ უხვი მოსავალი, მეურნეობის ყველა დარგი გავხადოთ რენტაბელური.

მეურნეობის ყველა მუშაკი, როგორც ერთი კაცი, გამოსულია სამუშაოდ. საქმე კი ბევრი აქვთ. ვენახების ძირებს შორის თოხნა, შაბიამნის შესხურება და ბოგირდის შეფრქვევა, გათამამებული რქების აკვრა, ზედმეტი ამონაყრების მოცილება და სხვა სამუშაო დროზე, აგროტექნიკურ ვადებში უნაკლოდ უნდა შესრულდეს.

ამ მეურნეობაში თვითეულ ძირ ვაზს სიყვარულით დასტრიალებენ თავს სპეციალისტებიცა და მუშებიც. დირექტორიცა და უბნისა თუ ბრიგადის მეთაურები — ყველა, ვისაც ნაკვეთი მიჩენილი აქვს მოსავლელად.

სწორედ საქმის ახალმა ერთობლივმა სიყვარულმა, ხელმძღვანელთა ორგანიზატორულმა მუშაობამ განაპირობა საჩხერის მეკვანახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმატება. აქ ყველა სიახლისა და ინიციატივის წამომწყებია მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (პარტიული კომიტეტის მდივანი შ. მაჭარაშვილი). ეს ოცდაერთი კომუნისტი, სამოცდაშვიდი კომკავშირელი ენერგიულად შრომობს. იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ მეტი ყურძენი. და არა მარტო ყურძენი, არამედ მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ადამიანი სწავლასა და შრომაში ყალიბდება, მოწინავე ხდება. თითქმის ყველა ცდილობს ამ მშვენიერ მეურნეობას ხვავი და ბარაქა შემატოს. კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის იბრძვის პირველი აგრონომი, რომლის უფროსია აგრონომი ი. ძაბარაშვილი. კომუნისტ ო. ქაფანაძის ბრიგადამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიღო. კომუნისტმა ვ. ფალავანდიშვილმა მოსავლელად გამოყოფილ ნაკვეთზე ჰექტარზე გადაანგარიშებით 84 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ხოლო ალა ალაბანაძემ ნახევარ ჰექტარზე — 110 ცენტნერი. კომკავშირელმა ივდიანი დეკანოიძემ სანიმუშოდ მოუარა გამოყოფილ ნაკვეთს და ჰექტარზე გადაანგარიშებით 90 ცენტნერი ყურძენი შემატა მეურნეობას. ასეთი მოწინავეები აქ მრავალია.

მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს ჩაბარა 913 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 770 ტონისა. მოგებამ 190 ათას მანეთს გადააჭარბა. მარტო პრემიის სახით გაიცა 67 ათასი მანეთი. ყურძნის წარმოების წლითიწლობით ზრდასთან ერთად მცირდება დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე.

შარშან ცენტნერი ყურძნის წარმოებისათვის უნდა დაეხარჯათ 32 მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 29 მანეთი და 15 კაპიკი. ყოველი 1.000 ცალი ვაზის ნერგის წარმოებისათვის დახარჯულია 195 მანეთი ნაცვლად 200 მანეთისა. ასევე თანდათანობით მცირდება დანახარჯები მეცხოველეობის პროდუქტების, ბოსტნეული კულტურების წარმოებაზე.

მეურნეობაში ეს მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეულია მთელი კოლექტივის დაუღალავი შრომით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით.

როგორია საჩხერელთა გამოცდილება? აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნაკვეთების სასუქების შეტანას. მას ანხორციელებენ მეცნიერულად დასაბუთებული კარტოგრამების მიხედვით. ამან გარკვეული სიკეთე მოუტანა მეურნეობას. თუ 1965 წლამდე საშუალოდ ყოველწლიურად მთელი ვენახის ფართობზე 304 ტონა ფოსფორიანი და 220 ტონა კალიუმიანი სასუქი იხარჯებოდა, გაანგარიშების შედეგად დაზოგილია 134 ტონა სასუქი, რაც გამოუენებულ იქნა სხვა საჭიროებისათვის. ამ ღონისძიებით მეურნეობა ყოველწლიურად დაზოგავს 2.720 მანეთზე მეტს.

ნაცვრის წინაალმდეგ ბრძოლა ახალი საქმე როდია, მაგრამ აქაც თავი იჩინა ამ მეურნეობის მუშაკთა პროგრესულმა მეთოდმა. 1964-1965 წლებში დაინერგა საქარის საცდელი სადგურის ძიერ რეკომენდებული კალიუმის პერმანგანატის 0,2-0,3-პროცენტიანი ხსნარის გამოყენება. ასევე კარგი შედეგი გამოიღო კალციფირებული სოდის პრეპარატმა. იმ ნაკვეთებში, სადაც ეს პრეპარატები სრულად იყო გამოყენებული, საშუალოდ ჰექტარზე ყურძნის მოსავალმა 120-130 ცენტნერს მიაღწია. მეურნეობაში წარმატებით იყენებენ ზრდის სტიმულატორს ბეტაროფენსინს, ბორდოს სითხეს. შემცველ ზრდის სტიმულატორ ცინებს. ამის შედეგად სანერგის მოწინავე მუშებმა ლ. ენუქიძემ, ზ. დეკანოიძემ, ვ. და ზ. დეკანოიძეებმა საშუალოდ ჰექტარზე 50-55 პროცენტი პირველი ხარისხის ნერგი მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 პროცენტისა.

მეურნეობის დირექტორი შ. ჯიღლაძე მუდამ ახლის, პროგრესულის ძიებაშია. ამ საქმეში ფართოდ ანამს სპეციალისტებს და კონკრეტულად წყვეტს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხს. დირექტორი დაინტერესდა სასხურებელი მისახმელი აპარატის „ოგ-3"-ის მეურნეობაში დანერგვით. მექანიზატორებმა სასახელოდ შესრულდა დავალება. ამ აპარატის გამოყენებით ჰექტარი ვენახის შეწამვლაზე მოღებულია 7 მანეთი ეკონომია. ამასთან ძმიმე შრომისაგან განთავისუფლდა თორმეტი კაცი. მექანიზატორებმა ჯ. ჯუსიანმა, დ. დეკანოიძემ, ნოე და თალიკო დეკანოიძეებმა საშუალოდ დღეში 7-8 ჰექტარი შეწამლეს და შრომის ნაყოფიერება თითქმის ორჯერ გაადიდეს.

ასე დაიწყო ამ მეურნეობაში ხუთწლედის პირველი წელი. ვენახის მთელ ფართობზე შეტანილია ორგანული და მინერალური სასუქები, დროულად გასხლეს ვაზი, აკარეს და დანამრეს. გაზაფხულზე ორჯერ განახორციელეს დამატებითი გამოკვება, ამდენჯერვე კულტივაცია, თოხნა. დროულად შესრულდა მწვანე ოპერაციები. დღემდე გოგირდი შეფრქვეულია ორჯერ, ბორდოს სითხე შესხურებულია ოთხჯერ.

სახელოვანი მევენახეები ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას არ იშურებენ, რათა წელს მაღალ წარმატებას მიაღწიონ. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სამშობლოს მისცენ ცხრაას ტონაზე მეტი შაქიანური ჯიშის უყურძენი ნაცვლად რვაასი ტონისა, 260 ათასი ცალი პირველი ხარისხის ვაზის ნერგი ნაცვლად 220 ათასი ცალისა. მათი ვალდებულებაა გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ცალის ნაცვლად დაამზადონ 250 ათასი ცალი სტანდარტული ვაზის სანერგე.

მეურნეობის ხელმძღვანელობამ — დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს მტკიცედ დანერგეს დავალებათა შესრულებისადმი კონტროლი, გაძლიერდა მომთხოვნელობა ცალეულ მუშაკთა მიმართ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლას, შრომის ორგანიზაციას. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ზომები იქნა მიღებული იმათ მიმართ, ვინც გაურბის საერთო შრომას, თავისი მოქმედებით არღვევს საერთო ცხოვრებისა და შრომის დაკანონებულ წესებს.

ყოველივე ამან გაანაწყენა შრომასა და სამართლიან მომთხოვნელობას გადაჩეული ამ მეურნეობის თითო-ოროლა მუშაკი. სხვა რით უნდა აიხსნას ნიკოლოზ წიგნაძის მთელი რიგი უსაფუძვლო საჩივრები საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს აქ სერიოზული ღონისძიებები გატარდა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. სამწუხაროდ, უსაქმურ და უსაფუძვლოდ განაწყენებულ ადამიანებს წამბალისებელნიც გამოუჩნდათ. საქმის ინტერესები მოითხოვს კი არ წავახალისოთ ისინი, არამედ ვამხილოთ, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ მათი უკანონო ზრახვები.

საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახელოვან კოლექტივს კი, უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო მიღწევები აქვს და თავისი საქმიანობით კიდევ უკეთეს პერსპექტივას გვპირდება როგორც სამეურნეო წარმატების, ისე მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ნ. ჯანჯღავა.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

• • •

სურათზე: შ. ჯიღლაძე.

საქართველოს სტუმრები

თათბირი მოსკოვში

მოსკოვი, 22 ივნისი. (საკადესის კორ.). დღეს მოსკოვში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში მუშაობა დაიწყო ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა.

მოხსენება სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ხორცისა და რძის მრეწველობის ამოცანების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ს. ფ. ანტონოვმა.

თათბირში მონაწილეობენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. შკოლნიკოვი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. სტრუევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების გამგეები ი. ი. კაბკოვი და პ. კ. სიზოვი.

ბედნიერი ვარ...

ბედნიერი ვარ, რომ სსრ კავშირში ვიმყოფები პრეზიდენტ შარლ დე გოლის ვიზიტის ღირსშესანიშნავ დღეებში, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს საფრანგეთის საათის ფირმა „ლიპ"-ის დირექტორის მოადგილემ ქან ლავიელტმა.

ლავიელტი და მეორე ფრანგული ფირმის „სლავა" წარმომადგენელი მორის კარუზო მოსკოვში ჩამოვიდნენ სსრ საბჭოთა კავშირის საგარეოსავაჭრო ორგანიზაციათა მოწვევით. 21 ივნისს სტუმრები იყვნენ მეორე საათის ქარხანაში. მათ დაათვალიერეს საამქროები, ესაუბრნენ მუშებს.

როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა იმ მინისტრთა თათბირი, რომელ ებიც სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი განათლების საკითხებს განაგებენ. ამ თათბირის მონაწილეთა ჯგუფი მესამე დღეა იმყოფება საქართველოში. მათ შორის არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და სპეციალური განათლების სტატსმდივანი ოიანმან გისმანი,—სტატს-სამდივნოს მეცნიერი თანამშრომლები ინგბორგ ჰოფმანი და პაინც ვოთჰანნი, სტატს სამდივნოს სოციალისტური ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე, გერჰარდტ რანფტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი ედგარ რაინჰარდტი, ბულგარეთის სახალხო განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი იანკო იანევი, პოლონეთის ტექნიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანჯეი ბუტლერი.

სოციალისტური ქვეყნების განათლების მოღვაწენი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟლაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ცხოვრება, მისი მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ესაუბრა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საქართველოს მშრომელები სკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ბ. ლაშქარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ი. ფორაქიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი ა. ბ. მედვედევი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები, რომლებიც უმაღლესი განათლების საკითხებს განაგებენ, ეწვევიან აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს. მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ მათ გააცნო, თუ როგორ დგას რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმე.

საზღვარგარეთელი ამხანაგები გაეცნენ უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობას, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს კახეთსა და მცხეთაში.

დღეს, 23 ივნისს, სტუმრები მოსკოვს მიემგზავრებიან.

სოციალისტური ცხოვრება

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. (საკადესი). უშიშროების საბჭომ ერთხმად მოიწონა ინგლისელი ელჩის ჯორჯ ბროუნის ანგარიში ინდოეთ-პაკისტანის ომის შედეგებზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ ინდოეთ-პაკისტანის ომის შედეგად ორივე ქვეყნის ეკონომიკა ერეოდა. ომის ბოლოს ინდოეთ-პაკისტანის ომის ადგილზე ჩასულ ინგლისელ ელჩს ეცნობა

ტყე ბუნების დიდი საუნჯეა

ტყე ქვეყნის სიმდიდრეა. ამიტომ არის, რომ ჩვენში ახლა დიდი ყურადღება ექცევა სატყეო მეურნეობის განვითარებას, ტყის ზოლების გაშენებას, კეთილმოწყობასა და მოვლა-პატრონობას. ტყის დაცვა და გაშენება სახალხო საქმედ გამოცხადდა.

საქართველოს მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა ბუნების დაცვის კანონის პრაქტიკულად განხორციელებას, რის შედეგადაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ ტყის კულტურების დარგვის ყოველწლიურ გეგმას. გაატყიანეს უტყეო ხრიოკი ადგილები და დასახლებული პუნქტები, საწარმო-დაწესებულებები, სკოლებისა და საავადმყოფოების ტერიტორიებზე მოეწყო პარკები და სკვერები. მწვანე ნარგავებით შეიმოსა ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი დიდი ყურადღებით ეკიდება ტყის ახალი მასივების გაშენების საქმეს. 1966 წლისათვის, ე. ი. შვიდწლედის მანძილზე ტყის კულტურები გაშენებულია 27 ათას ჰექტარ ფართობზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26 ათასი ჰექტარისა. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია კულტურების გაშენება 50 ათას ჰექტარზე, საიდანაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკვე გაშენდა 8.357 ჰექტარი.

სატყეო მეურნეობებთან მოწყობილ სანერგეებში და სკოლა-პლანტაციებში ყოველწლიურად გამოჰყავთ 40 მილიონამდე ტყის და ხეხილის სხვადასხვა ჯიშის ნერგები, რომლებიც ხმარდება რესპუბლიკის გამწვანება-გატყიანების საქმეს.

შვიდწლედის მანძილზე გაშენდა ტყე-პარკები თბილისის ზღვაზე, მახათა-ვარკეთილზე, ექადიაში და სხვ. წარმოებს ჯანდარის (გარდაბნის რაიონი) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის გატყიანება, სადაც 1966 წლისათვის გაშენებულია 248 ჰექტარი მინდორსაცავი ზოლები. მიმდინარე წელს სამგორის სატყეო მეურნეობის კოლექტივი კვლავ განაგრძობს აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მინდორსაცავი ზოლების გაშენებასა და 150 ჰექტარზე ხრიოკი ფართობების გატყიანების სამუშაოებს.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოები ენერგიულად მუშაობენ რაიონების გამწვანება-გატყიანებისათვის. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ყოველწლიურად ირგვება 4 მილიონამდე ხე და ბუჩქი. მათ რიცხვში 40 პროცენტი ხეხილია.

გამწვანებულია ილია ჭავჭავაძის ობელისკის მიდამოები წიწამურთან, კოჯორის მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში, გამწვანდა ყვარელ-ლაგოდეხის გზატკეცილი 30 კილომეტრზე — აქ დაირგო 10 ათასზე მეტი კაკლისა და სხვა ჯიშების მოზრდილი ხეები.

როგორც წინა წლებში, მიმდინარე წლის გაზაფხულზე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის საქალაქო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ქალაქის გამწვანების სამუშაოში აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის მოსახლეობამ. თბილისის ზღვის, კუს ტბის და ნაძიკვარის მიდამოებში დაირგო 20 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი. ახლა მთავარია ნარგავების მოვლა-გახარება. საჭიროა ყველა რაიონსა და დასახლებულ პუნქტში შეიქმნას მწვანე ნარგავების დამცველი საზოგადოებრივი ბრიგადები.

ტყის დაცვის გაუმჯობესების საქმეში ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყის მოვლა-დაცვის მდგომარეობა, საგრძნობლად შემცირდა ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა რიცხვი. ადრე ტყის ჭრაზე მომუშავე ორგანიზაციათ-დაწესებულებათა 750 იყო, შემდეგ ეს რიცხვი 300-მდე იქნა დაყვანილი, ხოლო დღეისათვის ტყის ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაცია 5-6-ს არ აღემატება. აიკრძალა საახალწლო ნაძვისხეების დამზადება, რისთვისაც ათეულ ათასობით ნაძვის ახალგაზრდა ხე იჭრებოდა.

ტყეების წესიერი ექსპლოატაცია კი არ აუარესებს ტყის მდგომარეობას, არამედ აუმჯობესებს მას. მაგრამ წარსულში წარმოებულმა უსისტემო მტაცებლურმა ჭრამ გამოიწვია ტყის მეურნეობის გაუარესება. სამამულო ომის დროს შეწყდა მერქნის შემოზიდვა, რესპუბლიკის ხეობებიდან ტყეზე მოთხოვნილება მთლიანად ჩვენს ტყეებს დაეწვა, ამის შედეგად კი მთლიანად ამოიწურა მისადგომ ადგილებზე მოსაჭრელი ტყის მარაგი.

მისადგომ ადგილებში ტყის შემდგომი ექსპლოატაცია გამოიწვევს გადაჭარბებულ ჭრას, ტყის კორომების სიხშირის დაქვეითებას—მათს გაეჩხირებას, რის შედეგადაც დაირღვევა საქართველოს მთაგორიანი ტყეების წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი ფუნქციები.

ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და ტყის არსებული სიხშირის შენარჩუნების მიზნით ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება, რომ ტყით სარგებლობა წარმოებდეს მუდმივი და თანაბარი სარგებლობის პრინციპით და არ დაუშვან ტყით სარგებლობა საექსპლოატაციო უბნებში წლიური საშუალო მატების გადაჭარბებით.

ამასთან ერთად არასწორად მიიჩნია უნებურ-ამორჩევითი ჭრის სისტემით ტყის ჭრა და საჭიროდ ჩათვალა მისი ამოღება საქართველოს სსრ ტყის ჭრის წესებიდან.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭიროა საექსპლოატაციო გზების მოწყობა, რათა ავითვისოთ ისეთი მიუვალი ტყის აგარაკები, როგორიც არის: გაგრის სატყეო მეურნეობის—კუშბაჰეშტის, სოხუმის სატყეო მეურნეობის—ფსაშნის, გულრიფშის სატყეო მეურნეობის—ბრაბმის, მესტიის სატყეო მეურნეობის — არშრასს, რომისღელის და ლარაკვაკვას, ონის სატყეო მეურნეობის—სორის და ღებების, ამბროლაურის სატყეო მეურნეობის—ურავის საბუეოს, ქუთაისის სატყეო მეურნეობის—ციხრის და გორდის, ყვარლის სატყეო მეურნეობის—არეშისხევის და უკანაჭალის, თელავის სატყეო მეურნეობის—ჭონთისხევის, თიანეთის სატყეო მეურნეობის—ჯაშოსხევის და სხვა აგარაკები. ამ აგარაკების და სხვა სატყეო მეურნეობის მსგავსი აგარაკების ათვისებით ქვედა ზონის ტყეები დაცულ იქნება გადაჭარბებული ჭრისაგან.

ამავე დროს საჭიროა შევინარჩუნოთ ტყის კორომების ნორმალური სიხშირე, რისთვისაც მისადგომ ადგილებში ტყით სარგებლობა არ უნდა იქნეს დაშვებული წლიური საშუალო მატების ზევით და დაცულ უნდა იქნას მუდმივი თანაბარი სარგებლობის პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ტყის დაცვა გაუმჯობესდა, მაინც ჯერ კიდევ აქვს ადგილი თვითნებურ ჭრას. განსაკუთრებით საკოლმეურნეო ტყეებში.

სამეურნეო დაცვითი ღონისძიებების გატარების მიზნით (1959-1964 წლებში) სახელმწიფო ტყის ფონდში გადაცემულ იქნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 200 ათასი ჰექტარი უვარგისი ტყე. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი უკვე ახორციელებს ამ ტყის აღდგენა-განახლებას. მაგრამ საქართველოს ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ კოლმეურნეობების და სხვა საწარმო-დაწესებულებების ხელშია. საჭიროა ეს ტყეები (გარდა იმ საკოლმეურნეო ტყეებისა, რომელთა ათვისება მიმდინარეობს) მოლიანად გადაეცეს სახელმწიფო ფონდში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტყეების დაცვას მავნებელი მწერებისაგან (ეკესკბილა ქერქიჭამია, ნაძვის დიდი ლაფანჭამია, მუხის დიდი ხარაბუზა, მზომელები და სხვ.). ამ მწერების წინააღმდეგ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს მთელ რიგ კომპლექსურ ღონისძიებებს. ტყის მავნებლების მოსპობის მიზნით მიმდინარე წელს ჩატარდება 50 ათასამდე ჰექტარი ტყის შეწამვლა ქიმიური ნივთიერებით. პირველი ივნისისათვის უკვე შეწამლული იყო 25 ათასი ჰექტარი ტყე. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

აღსანიშნავია, რომ მეჩხერი ტყის კორომებში ტყის აღდგენა-განახლებას ხელს უშლის იქ გაბატონებული მარადმწვანე ქვეტყეშქერი. ტყის კულტურების ზრდა-განვითარებას დიდად აფერხებს აგრეთვე სარეველა ბალახები, შქერისა და სარეველების მოსახსნობად ბრძოლის ღონისძიებები მეტად შრომატევადია და დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ყოველივე ეს მეტყევე სპეციალისტთა წინაშე ქიმიის გამოყენების ამოცანას აყენებს. ამ მიზნით საჭიროა მოეწყოს ცდები მცირე ფართობებზე, ხოლო დადებითი შედეგების მოლების შემთხვევაში ფართოდ გამოყენებულ იქნას ქიმიური ბრძოლის მეთოდები. ეს ხელს შეუწყობს მეჩხერი ტყის კორომებში გაბატონებული მარადმწვანე ქვეტყის (შქერის) და ტყის კულტურებში სარეველა ბალახების მოსპობისათვის ბრძოლას, დიდად შემცირდება შრომატევადი სამუშაოები და ხარჯები.

აგრეთვე საჭიროა ფართოდ დაინერგოს მეჩხერი ტყის კორომებში გაბატონებული შქერის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისის სატყეო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდი (მეცნიერ მუშაკის ჭარელიშვილის მეთოდი) — ზოლებად და ბაქნებად მოზრდილი ნერგების დარგვა.

ტყის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში დიდ და ფართო სამუშაოებს ახორციელებს თბილისის სატყეო ინსტიტუტი. საყურადღებოა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლების მიერ განეული მუშაობა საქართველოს მთის ტყეებში მოვლითი ჭრის თავისებურების შესასწავლად. ამ მხრივ საინტერესო ცდებია დაყენებული თბილისის, გორის, ბორჯომის, თიანეთის და საგარეჯოს სატყეო მეურნეობებში.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

მეფობლიური ჰეიფაუეები

ამ სურათებს რომ დახედავთ, რაღაც ნაცნობი და მშობლიური შემოგაშუქებთ. საქართველოს გზებზე ყველგან შეხვდებით ასეთ ადგილებსა და ხედებს, მსგავს პეიზაჟს.

მდინარის გაყოლებით ვიწრო ხეობაში გზა მთებისკენ მიიკლაკნება. მიდინარეთ და მიგაცილებენ ტყიანი ქედები, ზოგან ნაკადული გადაგეჭრით გზას, ზოგან — კორდზე შემომსხდარი მინდვრის ყვავილები შემოგღიმებენ. ნურც იმას გაიკვირვებთ, თუ ნადირიც შემოგეფეთოთ.

ფოტორეპორტიორმა ო. თურქიამ ეს სურათები ზეკარის ულელტეხილზე გადაიღო გზადაგზა.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ

გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მეთოდური ბიულეტენი № 4. მისი გამოსვლა დაემთხვა პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებას. ამიტომაც ბიულეტენი შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ბიულეტენი იხსნება წერილით — პარტიის ოქროს ფონდი. მისი ავტორია საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე **ვ. კაჭარავა.** წერილში მოთხრობილია იმ ამოცანებზე, რაც საკპ XXIII ყრილობამ დააყენა პარტიულ პროპაგანდის წინაშე. აქვე დაბეჭდილია წერილები: **გ. აზაურაშვილი** — ყრილობის გადწყვეტილებებით შთაგონებული, **მ. ზელენეცკი, ა. სოლომონიკი** — პარტიული პროპაგანდის ზოგიერთი საკითხი, **გ. ჯოჯუა** — პროპაგანდაში ტექნიკური საშუალებათა გამოყენების შესახებ, **მ. მაჭუკაშვილი** — ბიბლიოთეკა პარტიული განათლების სასწავლო-ში, **ზ. ყიფიანი** — ენციკლოპედიების გამოყენება პარტიულ სწავლებაში.

ინტერესით იკითხება მასალები, რომლებიც დაბეჭდილია ბიულეტენის განყოფილებებში — „პარტიული სწავლების პრაქტიკა", „დიდი თარიღების შესახებ", „ლაპარაკობენ სემინარების და ლექტორიუმების ხელმძღვანელები".

ბიულეტენი ილუსტრირებულია რესპუბლიკის მოწინავე პროპაგანდისტთა პორტრეტებით.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

26 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მუშობას დაიწყებს გერონტოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესი, რომელიც განიხილავს ადამიანის დღეგრძელობის საკითხს. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანია დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები — მეცნიერნის სხვადასხვა დარგის მუშაკები.

ჩვენი რესპუბლიკიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს გერონტოლოგთა ცენტრის უფროსი, პროფესორი გ. ფიცხელაური, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ტყეშელაშვილი, და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. სიპინავა.

„კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა პროფესორ **გ. ფიცხელაურს** და სთხოვა გაეცნო, თუ როგორია კონგრესზე მისი მოხსენების თემა და რა მიღწევები აქვთ ამ უკანასკნელ წლებში ქართველ გერონტოლოგებს.

— კონგრესზე წაკითხულ მოხსენებას — „ზოგიერთი ფაქტორი დღეგრძელობისა საქართველოში". აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სპეციალისტების გამოსვლას კონგრესის მონაწილენი ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებიან. ეს გასაკვირველიც არ არის; რადგან საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტია ას წელს გადაცილებული ადამიანი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს 21.708 ერმად მოხუცი. აქედან კი ყველაზე მეტი ამერიკაკავასიაზე მოდის.

ი. ერრდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან შექმნილი ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკთა აღრიცხვით ამიერკავკასიაში ცხოვრობს 5.800 ას წელს გადაცილებული ადამიანი. საქართველოში კი — 2.800.

ჩვენი დაკვირვებებით ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლეს ძირითადად განსაზღვრავს გეოგრაფიული პირობები, ჰაერი. ცნობილია, რომ სოფლად ადამიანი უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე ქალაქად. გარდა ბიოლოგიური თავისებურებებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას, დროულად დაოჯახებას, ქალებისათვის მრავალშვილიანობას. ამის სალუსტრაციოდ მინდა მოვიყვანო ასეთი ფაქტი. ჩვენ მიერ აღრიცხული 400 ერმად მოხუცებიდან ქალიდან მხოლოდ ოთხია უშვილო, დანარჩენი კი მრავალ შვილიანი. რომლებსაც თვითეულს 18-20 შვილი ჰყავს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის დიდი ძხიშვნელობა ენიჭება სოციალურ პირობებს, შრომას ის, ვინც მუდმივად შრომობს, დიდხანს ცოცხლობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გერონტოლოგთა შრომებით დიდად დაინტერესებულია უცხოეთის პრესა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ყურნალ-გაზეთებში იწერება ამიერკავკასიის ერმად მოხუცთა შესახებ, ქვეყნდება ქართველ მეცნიერთა შრომები.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲛᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ!

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ასეთი სურათი: გაკვირვებული ოფიცერი მბრძანებელს ეკითხავს და ავტოინსპექტორს უმტკიცებს, რომ ვერ შეამჩნია საგზაო ნიშანი, რომლითაც აკრძალულია მანქანის გასწრება. და კვლავ ავტოინსპექტორის სტერეოტიპული პასუხი: „ნიშნები კი იმისათვის კიდია, რომ შეამჩნიოთ!" ინსპექტორის მოთხოვნა სამართლიანია; მაგრამ ზოგჯერ ოფიცრიც არ არის დამნაშავე: ღამეა, ნიშანი არ ანთებს და შეეხვედრი მანქანის შუქფარი თვალს ჭრის.

როგორ შეეთანხმოთ ერთმანეთთან ავტოინსპექციის მაღალი მომთხოვნელობა და მძღოლის მხედველობის შეზღუდული შესაძლებლობანი?

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადწყვეტეს აელაპარაკებინათ საგზაო ნიშნები, რომ მათ ჩვეულებრივი ხმით შესძლებოდათ გაეფრთხილებინათ შოფერები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. დიდი ხანი არ არის, რაც ასეთი ნიშნები საცდელ შემოწმებას გადიან ნიუ-იორკისა და ბოსტონის მახლობელ ავტოსტრადებზე.

თვით ნიშანი, რა თქმა უნდა, არ ლაპარაკობს. ლაპარაკობს მხოლოდ პატარა მაგნიტოფონი ავტომანქანის კაბინაში, ხოლო იმას, რაც მაგნიტოფონმა უნდა თქვას, განსაზღვრავს საგზაო ნიშანი. მინიატიურული ნახევარგამტარებიანი გადამცემი გამოასხივებს დამახასიათებელ სიგნალს, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ საგზაო ნიშანს. ავტომანქანის მიმღები იღებს მას დაახლოებით სამას მეტრზე და ჩართავს მაგნიტოფონს. მაგნიტოფონის ფირზე რამდენიმე ბილიკია, და თუ რომელი მათგანი აირჩიოს, ამას განსაზღვრავს მიღებული სიგნალი.

ᲛᲘᲜᲘᲡ ᲒᲝᲛᲯᲙᲝ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲠᲝᲙᲝᲜᲘᲙᲘᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ განიზრახეს სათბურებში ნიადაგი შეეცვალათ მინის ბოჭკოთი. ექსპერიმენტიც განახორციელეს. აღმოჩნდა, რომ მინის ბოჭკო შესანიშნავი მასალაა ჰიდროპონიკისათვის. მასში წარმოიქმნება კაპილარების განვითარებული ქსელი, რომელიც კარგად აკავებს ჰაერსა და სასუქიან წყალს. ასეთი „ნიადაგი" კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურას და იოლად სტერილდება. ჩვეულებრივ ნიადაგში ბოსტნეულის თესლი ხშირად ფუჭდება, მინის ბოჭკოს „ნიადაგში" — არასოლეს.

ᲕᲐᲨᲚᲔᲑᲘ... ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲚᲘᲡ რამდენიმე თვის განმავლობაში შესანახად ინგლისელმა სპეციალისტებმა ასეთი ხერხი შეიმუშავეს. ჯერ ვაშლებს ხუთ-ათ წუთს რეცხავენ ცხელ (ალუს 45 გრადუსი ცელსიუსით) აბაზანაში, შემდეგ ამდენივე ხნის განმავლობაში აჩერებენ ცივ აბაზანაში. ასეთი ვაშლი ჩვეულებრივ საცავში რამდენიმე თვეს ახალივით ინახება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის 250 სტუდენტი გაემგზავრა ყამირზე. სტუდენტები დროულად მოემზადნენ მგზავრობისათვის — შეადგინეს რაზმები, დანიშნეს მეთაურები, შეიძინეს სამშენებლო ინსტრუმენტები, სამეურნეო ინვენტარი.

გამგზავრებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ყამირზე მიმავალთა შეკრება, რომელიც გახსნა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ. შეკრებაზე გამოვიდნენ რაზმების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის ყამირელთა მთელი რაზმის მეთაური თ. ფოფხაძე. შეკრებილთ მიესალმა ჩრდილოეთ ყაზახეთელთა საოლქო შტაბის წარმომადგენელი ნ. ბისტროვი. ენთუზიასტებს გზა დაულოცეს პროფესორმა ა. ბახტაძემ, უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლალიძემ.

ყამირზე ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ყამირზე მოლაშქრეთა ერთ-ერთ ჯგუფს.

ფოტო გ. კიკვაძისა და ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘ ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ᲝᲓᲔᲡᲐ, 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (საქდესის კორ.). ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲝᲓᲔᲖᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲐᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲒᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲔᲚᲘ ᲝᲠᲘᲤᲔᲨᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ, ᲗᲐᲕᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲘᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲖᲚᲝ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გ. ბურჯანაძემ კანონის უხეში დარღვევით დაითხოვა სამუშაოდან ამავე სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები ვ. კორძაძე და ნ. ლაღაძე.

სახალხო სასამართლომ ისინი აღადგინა თავიანთ თანამდებობაზე და სკოლა-ინტერნატს დააკისრა მათ სასარგებლოდ განაცდური ოც-ოცი დღის შრომის ხელფასი.

ქუთაისის ქალაქის პროკურორმა, იხელმძღვანელა რა არსებული კანონით, სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა სკოლა-ინტერნატის დირექტორს ბურჯანაძეს დაკისრებოდა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც გადაიხადა ადმინისტრაციამ დირექტორის მიერ სამუშაოდან უსაფუძვლოდ დათხოვნილი მუშაკებისათვის განაცდური შრომის ხელფასის ასანაზღაურებლად.

სახალხო სასამართლომ განიხილა პროკურორის აღნიშნული სარჩელი და ქ. თაისის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორს გ. ბურჯანაძეს დააკისრა აღნიშნული თანხის სკოლა-ინტერნატის სასარგებლოდ გადახდა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო ამავე წესით დააკისრა ქუთაისის ტელეტუსებიხ სამმართველოს უფროსს ადამიას 110 მანეთის გადახდა ტელეტუსების სამმართველოს სასარგებლოდ, რაც სასამართლოს წინათ გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა ამავე ორგანიზაციას შაოდან უსწოროდ დათხოვნილი ჩ. ... მიძის სასარგებლოდ.

Თ. ᲐᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩველი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝ ᲡᲐᲚᲘᲠᲔᲑᲖᲔ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ მოკიდაეთის მსოფლიო ჩემპიონატი ტოლიდოში ფინიშს უახლოვდება. რვიდან შვიდი საბჭოთა სპორტსმენი განაგრძობს ბრძოლას ოქროს მედლებისათვის.

კვლავ წარმატებით იბრძვის თბილისელი **რ. რურუა.** ზედიზედ ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ მან ქულებით დაამარცხა ამერიკელი ფინელი. ასევე ქულებით **ვ. ოლეინიკმა** მოუგო პოლონელ **ვ. სმოლინსკის. ვ. ანისიმოვმა** ფრედ დაამთავრა მეხეედრა ინგლელ **ფ. კიშთან.**

ს. ტიბალკომ ა. კრუზესთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) წმინდა გამარჯვების შემდეგ ქულებით მოუგო იაპონელ **ა. კატოსა** და რუმინელ **გ. სტოიჩუს. ვ. იგუმენოვმა** მეოთხე წრეში ქულებით დაამარცხა **მ. ნენადიჩი** (იუგოსლავია). **გ. საპუნოვს** წმინდა გამარჯვება ხვდა **მ. ფარიდოსთან** (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა) და ბულგარელ **დ. რაიჩევთან** ორთაბრძოლაში. **ნ. შმაკოვმა** წმინდად მოუგო **რ. კასაბოვს** (ბულგარეთი).

ᲒᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲠᲘᲡᲚ

ᲒᲣᲨᲘᲜ ბათუმში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

პირველ ტურში **გურგენიძემ** დაამარცხა **ბუსლაევი, გიორგაძემ** — საერთაშორისო ოსტატი **უიტლკი, ჭაბუკიანმა** შორის მსოფლიოს ჩემპიონმა **კურაიცამ** — **ცინი, პოპოვმა** — **უბლავა, ჯინჯიხაშვილ-იანსას, მინიჩ-ბაგრიოვისა** და **ფელდ-კოლაროვის** პარტიები ყაიმით დამთავრდა. **დოდა-ველიძრიგიჩის** პარტია გადაიდო.

ღუს შედეგები მეორე ტური.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲛᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲠᲐ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბურნოელ ქალთა გუნდი „სლავია". გუშინ სტუმრებს სპორტის სასახლეში საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. შეხვედრის შედეგია 75:57 ჩვენი ქალაბურთელების სასარგებლოდ.

ᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲚᲘᲛᲔᲑᲐ „ᲥᲐᲚᲚᲛᲔᲠᲗᲘᲗ"?

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მატჩს ესპანეთის ჩემპიონ „ატლეტიკოსთან" მადრიდის სტადიონზე დაესწრო 125 ათასი მაყურებელი. შეხვედრა ანგარიშით 5:3 მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონებმა. ბრაზილიელები გამოდიოდნენ საბრძოლო შემადგენლობით: ფილანი, ფიდელი, ბრიტო, ალტაირი, რ. ენრიკე, ზიტო, ბერსონი, ჟაირზინიო, სერვილიო, პელე და ამპარილდო.

სამი ბურთი ესპანელთა კარში გაიტანა „შავმა მარგალიტმა" პელემ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

26 კომოსრის სახელობის (მეორე დარბაზი), ოქტომბერი — **არაჩვეულებრივი კლასი,** კომკავშირელი, თბილისი, საქართველო (მეწვენე დარბაზი) — **შაშვნიკაპა ხელმწიფე,** თანამგზავრი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა კულტურის სახლი, ნაკადული — **მეფლის მეორე მხარე,** ოფიცერთა სახლი, გორის სახელობის კულტურის სახლი — **სინდისი,** კოსმოსი — **სურიანი ქალლშვილი,** რუსთაველის სახელობის თეატრი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ისანი, ლარამონის ბაღი, გაზაფხული — **ჯაში მხოლოდ ქალიშვილები არიან** — პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ვაკის პარკი — **ცვილი მტვერში,** კოლხიდა (საზაფხულო) — **უცნობი ქალის წერილი.** [illegible] ნი (საზაფხულო) — **ხუანა გალიო,** [illegible] კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **სიყვარული და ოცნებანი.** [illegible] ლო (საზაფხულო) — **პაროლი.**

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „ღუბროვსკი", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — პატარებისათვის — „ეთთი დღე სბავშვო ბაღში", 18.10 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.20 — ჩვენი სტუმრები, 18.40 — „ჩვენი ანკეტა", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 19.55 — ინტერვიზიის სატელევიზიო სტადიონი (გადმოცემა პრაღიდან), 21.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — გერმანული სატელევიზიო ფილმი „სინდისი იღვიძებს" — მესამე სერია (ქართულ ენაზე).

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — „ᲛᲘᲜᲘᲡ ᲒᲝᲛᲯᲙᲝ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲠᲝᲙᲝᲜᲘᲙᲘᲐ"

ᲛᲘᲜᲘᲡ ᲒᲝᲛᲯᲙᲝ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲠᲝᲙᲝᲜᲘᲙᲘᲐ

ᲙᲐ ᲕᲬᲣᲡᲘᲗ, ᲙᲐ ᲓᲠᲝᲕᲘᲡᲐᲛᲘᲜᲘᲗ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ |